საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკნაძე გურამ ბაგრატის ძე

კიკნაძე გურამ ბაგრატის ძე (დ. 27. XI. 1940, თბილისი), ექიმი (შინაგანი სნეულებები, ნეფროლოგია, საოჯახო მედიცინა). მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2001). 1965 დაამთავრა თსსი. 1969–97 მუშაობდა თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; 1971–2001 იყო თსსუ-ის შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი; 1995–2003 – ჯანდაცვის მართვის ეროვნ. ცენტრის დირექტორის მოადგილე; ბიოეთიკის და ჯანდაცვის სფეროს სამართ. უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, 2001–05 – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორი; საოჯახო მედიცინის ფაკ-ტის დეკანი; 2006-იდან თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის პროფესორია.

კ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 6 მონოგრაფიის ავტორი, რ-ებიც ეხება შინაგანი სნეულებების, ნეფროლოგიის, სამედ. ეთიკის და ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობის საკითხებს. კ-ს მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: ექიმის პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002; რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რეპროდუქციული უფლებების საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში, თბ., 2002; ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები, თბ., 2012.